თუმცა პირველად გამოდის ეკრანზე, მაგრამ მაინც წარმატებით წარმოსახავს ჭაბუკ ვალოდია მაიაკოვსკის როლად შელიძეც. ახალგაზრდა მსახიობს მივუძღვით აქვს ვალოდია მაიაკოვსკის სახის დამახასიათებელი გამოთქმები, რაც განსაკუთრებული ძალით იკრძნობა იმ მომენტში, როცა ვალოდია გატაცებით აღვიწყებს თვალს მხედარს, რომელიც ცხენს მიაჭენებს მდინარის ნაპირზე. სულ რამდენიმე წუთით ადრე ეს ცხენოსანი ასრულებდა ზაქაროს როლს ლადო მესხიშვილის თეატრის მიერ ბაღდათში სახელმწიფო დიდგმულ „კაკი ყაჩაღში“. მაგრამ უცებ გაჩნდა პოლიცია, მაყურებლები მიჰყვან-მოჰყვანა, ხოლო ზაქაროს როლის შემსრულებელმა მოკლა ბატონი, უმაღლესი სტენიდან ჩამოვიდა, მოახტა ცხენს და, მუშა რევოლუციონერის დავით ქიქოძის დაგალებით, მიჰქრის რევოლუციონერებთან, — ამრიგად მუშაობს გლეხის როლის შემსრულებელი სტენიდან უკვე ცნობრებაში გადღის. ცენოსნის ელვარე ხალათი ფრიალებს, როგორც წითელი

დროშა. ჭაბუკი მაიაკოვსკი უყურებს მჭრელად მხედარს და თითქმის ჭრურულით ამბობს: „აღამიანი-დროშა“. ასე დაიბადა მის ცნობიერებაში ერთ-ერთი პირველი პოეტური სახე. უნდა ითქვას, რომ ეკრანზე „აღამიანი — დროშა“ წარმოადგენს კინემატოგრაფიული ხერხით პოეტური სახის გამოკვეთის დიდებულ ნიმუშს. დამდგმელ რეჟისორის წითელი ფერი გაოყენებული აქვს, როგორც მხატვრული საშუალება, რომლის ემოციური ზემოქმედება ძალიან ძლიერია. ფერის ასეთი გააზრება იშვიათია თვით ფერად კინემატოგრაფიაშიც კი. მხედრის წითლად მოელვარე ხალათი ამ ფილმში თავისი გამოომსახველობით და შთამბეჭდაობით თამაზად შეიძლება შევადაროთ აჯანყებულ მეზღაურთა მიერ ანძაზე აფრიალებულ წითელ დროშას ს. ეიზენშტეინის ფილმიდან „ჯავშნოსანი პატიომკინი“.

პოეტის უფროსი დის-ლუდმილას მოგონებებიდან ვიცით, თუ როგორ გაიარა მაქსიმ გოროკმ აბასთუმნის გზატკეცილზე. გოროკ ტყის ჯიხრშიც შესულა, ბევრი რამ გამოუცოთხავს იქ... და აი ახლა ეკრანზე ალექსი მაქსიმეს მე პეშოვია. იგი არწმუნებს მეტყვევს, თქვენი შვილი საქართველოს მშვენიერი ბუნების წიაღში აუცილებლად მხატვარი გამოვათ.

ფილმის მთავარი გმირები ხდებიან მოწმე და მონაწილე მღელვარე მოვლენებისა — 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიანი ამბებისა. ქართველი რევოლუციონერები, რუს ძმებთან ერთად ხელიწაყრდნობენ, იბრძვიან რევოლუციის მტრების — მეფის გენერლების, ჩინოვნიკ-რეაქციონერების, სისხლიანი მტარვალების აღიზანოვ-აგარსკის და გრიზნოვის, მეფის ნაცვლის გორონოვ-დაშკოვის და მათი მსგავსი სხვადასხვა ჯურის სისხლისმამულთა წინააღმდეგ.

იმდროინდელი ცხოვრებიდან აღებული სახეა რევოლუციონერი გლეხი მიხო (მსახიობი ზ. ლაფერაძე), რომელიც რუსეთ-იაპონიის ომიდან ინგლისად დაბრუნებულია, საკუთარი თვალით უნახავს თუ როგორ ცხოვრობს ხალხი, მისი სახლიდან დაწყებული, პირტ-არტურით დამთარგებული. ერთ-ერთ ეპიზოდში ამ გმირ ჯარისკაცს ღერში უჭირავს ლენინის ბროშურა — მოწოდება სოფლის ხალხი გლეხობისადმი.

მიხოს შვილი არსენა (მსახიობი გურამ წერეთელი) ე. მაიაკოვსკის თანატოლი და მეგობარია. ისინი მოწმენი არიან ხალხის ცხოვრების როგორც სასიხარულო, ისე მრავალი ტრაგედიული სურათისა.

... აი, ვალოდა და არსენა ერთად მიაველვებენ ცხენებს ... და უცებ წააწყდებიან საშინელ სურათს: თავად ნაკაშიძის ხე-ტყის ქარხანაში იღუპება მუშა. ეს ამბავი მებივით დაეცმა თავს მუშის ლატაკ ოჯახს.

... ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაში მოხდება თავდასხმა გენერალ აღიზანოვ-აგარსკიზე (მის როლს ოსტატურად ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე). მაგრამ მხეცი გენერალი სიკვდილს გაღუბდება. ცოფმოტეული აღიზანოვ-აგარსკი რესტორანში შერბის, სადაც თავი მოუყრია რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, მათ შორის არის გიმნაზიელი ვალოდა მაიაკოვსკიც. აქვეა აღბე პოეტი აკაკი წერეთელი. სისხლამღვრელი გენერალი ფეხზე მდგომი წამოიყვლება ბოთლსა და სვამს, თან სვამს, თან მოითხოვს: „ეს პირუტყვები ფეხზე წამოდგენ, ხომ ხელავენ, რომ თვითონ გენერალი აღიზანოვ-აგარსკი მობრძანდეთ“. აკაკი წერეთელი (მსახიობი მ. ყვარელაშვილი) ღიწვად გადასცემს თავის პასუხს: „აღამიანები სხედან, როდესაც პურს ჭამენ, პირუტყვები კი ზეზეურად იკონებენია“.

და ყველაფერი, რაც ვალოდა მაიაკოვსკის თვალწინ ხდება, შემდეგ გამოხატულებას ბოულობს მის მოქმედებაში, აზრებში, გრძნობებში, პოეტური და მხატვრული შემოქმედების პირველ ცდებში.

... აი ვალოდას ხატავს კარიკატურებს გიმნაზიის რეაქტულად განწყობილ მასწავლებლებზე, და ისინიც ამ ნახა-



სეცნარის ავტორი კინორეჟისორი კარლ გოგოძე

კადრი ფილმიდან





აკაკი ზორაფა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკის როლში

ტებისაგან ბრანზორეულნი მზად არიან შუაზე გაგლეჯონ მათი ახალგაზრდა ავტორი.

... ვალოდია გაიცნობს მუშა-რევოლუციონერს და ვით ქიქოძეს და, როდესაც მისგან შეიტყობს ალექსანდრე წულუკიძე გარდაიცვალაო, გადასცემს მამისეულ ბერდანას, რომელიც ამ ცნობილ რევოლუციონერ მოღვაწესთან მიპქონდა.

... ვალოდია გატაცებით აღეგნებს თვალს სპექტაკლს— ილია გაგუჟავიძის „აკაკი ყაზას“, რომელიც ჟანდარმების მიერ დახურულმა ლადო მესხიშვილის რევოლუციურმა თეატრმა აკაკი წერეთლის რჩევით სოფელ ბაღდათში დადგა.

... ვალოდია მაიაკოვსკი საკუთარი თვალით ხედავს, თუ

როგორ გადააწყებებს მუშა სააფიშო სვეტზე გაკრულ გენერლის ბრძანებას, შემდეგ წარწერას — „ძირს ალიხანოვი! ვი!“ ხედავს — ცხენოსანი პოლიციელი რევოლუციით ჰკლავს კედლებზე ამ მოწოდების გამკრეფელ მუშას. როდესაც უყურებთ ყველაფერ იმას, რასაც ვალოდია თავის სიჭაბუკეში გარემომცველი ცხოვრებისაგან ითვისებდა, ნათელი ხდება, თუ როგორ „იწყებოდა“ მაიაკოვსკი — დიდი საბჭოთა პოეტი-ტრიბუნი და მოქალაქე.

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ფილმში ისევე სრულად და მკაფიოდ ყოფილიყო მოცემული პოეტის ბავშვობა, როგორადაც მოცემულია ყრბობა. არ იქნებოდა ზედმეტი ვალოდიას ბავშვობისა და ყრბობის სხვა მეგობართა გამოყვანაც. მას ხომ მრავალი ამხანაგი და მეგობარი ჰყავდა!

სამწუხაროდ, ფილმში გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამობა. იკრანზე ვკითხულობთ: „თუმცა საქართველოში ვიზრდებოდი...“. დიქტორი კი ამბობს: „მე საქართველოში ვიზრდებოდი...“. შემდეგ, 12 წლის ვალოდია ლექსების წასაკითხავად ძლივს შეძერება ცარიელ ქვევრში, სადაც მას ჰყრიც არ ყოფნის ლექსის სადეკლამაციოდ. ცნობილია, რომ ვალოდია ასე უკითხავდა ლექსს თავის დას, როცა იგი ბევრად უფრო პატარა იყო.

პოეტის დედა — ალექსანდრა ალექსის ასული მაიაკოვსკაია მკრთალი და მდუმარეა ფილმის ამ პირველ ნაწილში. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი რთული, როგორც უმამოდ დარჩენილი ოჯახის მეთაურისა, საგრძნობლად გაიზრდება ფილმის მეორე ნაწილში.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ეს ფილმი კარგი საჩუქარია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მას უთუოდ აქვს შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა.

გუსსურვით ფილმის ავტორებს შემოქმედებითი წარმატება ამ დაუფიწყარი კინოსურათის მეორე ნაწილზე მუშაობის დროს.

კადრები ფილმიდან „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“



მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ვეტიკანები

ღიად ყურღაშვილი



მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს მაინც და მაინც დიდი ხნის ისტორია არა აქვს, — იგი ჯერ 30 წლისაა მხოლოდ. მან საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო, მრავალი სიძნელე გადალახა და დღეს სრულიად სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად ჩვენს დიად სამშობლოს საბავშვო თეატრთა შორის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამის დასტურად კმარა თუნდაც ორი ფაქტი, ერთი ის, რომ 1940 წელს საბავშვო თეატრების დაიგეგმებოდა მოსკოვში მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

„თბილისელმა სტუმრებმა საბავშვო თეატრების დათვალიერებაზე გვიჩვენეს ორი სპექტაკლი („სურამის ციხე“ და „ნაცარქაქია“). ფორმითა და შინაარსით სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთმანეთის მსგავსი თავისი ტალანტით და შეჯერებული შემოქმედებით მალე თეატრალბობითა და სილამზებით“ — ურდა რეჟისორი სესლოვიჩი.

არანაკლებ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია თეატრმა მოსკოვში 1958 წლის თებერვალში, დაიკავა კი ერთი პირველი ადგილთაგანი საბავშვო თეატრების საკავშირო ფესტივალზე მოსკოვში.

ამჯერად თეატრი მოსკოველი მაყურებლის წინაშე წარსდგა კვლავ ორი სპექტაკლით: „გლახის ნაამბობი“ და „ბორის ძეგლად“.

ამ განმარტების მოპოვებას, თეატრის შემოქმედებითი ხანის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ძიება, დამატული მუშაობა, მრავალი დაბრკოლების გადალახვა დაჰქონდა.

განსაკუთრებით რთული იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის პირველი წლები. ახალგაზრდა კოლექტივი მიდიდა სრულიად გაუცხოვლები გზით, მას არ ჰქონდა არავითარი ტრადიცია, არა ჰყოლია წინაპარი. რევოლუციამდე საქართველოში ხომ საბავშვო თეატრზე ოცნებაც კი არაყის შეუძლო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ცნობერებაში ყველაფერი მორეგულირებდა, შეიძლება და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, პირველად დაისვა საბავშვო თეატრის შექმნის საკითხი.

1922 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 25 დეკემბრის ნომერში დაბეჭდვა ცნობა: განათლების სახალხო კომისიისგან დაამტკიცა საბავშვო თეატრის დებულება. აქვე იყო გამოქვეყნებული თვით დებულებაც, რომელიც ითვალისწინებდა როგორც თეატრის, მასხიში დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულითა და მონდომებით მუშაობის ყოველ ახალ რთულ გახურვებად იმისა „დიდა“ ის რაღაც, „თუ „პატარა“.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მერი ერგანელის მერი განსახიერებელი სალონი „სურამის ციხეში“, ეკუთვნის „შემოსავლიანი ადგილი“, თიშაღ-მაკო „ბაში-არაქში“, ზოიას დედა. სპექტაკლში „ზადაბი სი-მართლეს“, კაწაწა „კომპლემი“, ფიცილა ივანოვნა გო-

ლისწინებდა როგორც თეატრის დანიშნულებას, აგრეთვე მის დაარსებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს.

შემდეგ, 1923 წელს, იმავე გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით ვრცელ წერილს საბავშვო თეატრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

მაგრამ პრაქტიკულად ეს საქმე განხორციელდა საკმაოდ გვიან, — 1927-28 წელს.

მხოლოდ იყო მუშაობის დაწყება ცარიელ ნიადაგზე. საჭირო იყო საბავშვო თეატრისათვის შესაფერი რეპერტუარი, მსახიობთა კადრი, საკუთარი შენობა და მრავალი სხვა რამ, რაც აუცილებელია თეატრის მუშაობისათვის.

რეპერტუარი პირველ ხანებში მთლიანად ნათარგმნი იყო, მაგრამ თეატრმა მალე მიიზიდა ქართველ მწერალთა და დრამატურგთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, დიქტორი რამდენიმე საბავშვო პიესა, პირველ ხანებში, არ თქმა უნდა, პიესები შედარებით სუსტი იყო, მაგრამ თანდათანობით ავტორები დაოსტატდნენ ამ საუკეთესო ჟანრში და დღისათვის ჩვენ გვაქვს არაერთი კარგი საბავშვო პიესა; გვაქვს რამდენიმე ქართველი საბავშვო დრამატურგი. მოგვარდა შენობის საკითხიც; თანდათანობით დაშლულ იქნა სხვა დაბრკოლებებიც.

რაც შეეხება მსახიობთა კადრს, პირველ ხანებში თეატრს სახარბიელო მდგომარეობა არ ჰქონდა. თეატრში მოვიდა მონდომებული ნიჭიერი, გატაცებული, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდობა, რომელიც არა თუ საბავშვო თეატრის სპეციფიკას, საერთოდ, თეატრსაც კი არ იცნობდა. მართალია, ყველა ისინი სხვა თეატრებიდან ან თვითმომყველი კოლექტივიდან მოვიდნენ, მაგრამ არც ერთს არ გააჩნდა წლებით გამტკიცებული გამოცდილება, არ ჰქონდა გავლელი სერიოზული თეატრალური სკოლა. და ამ ახალგაზრდობამ, ნიჭიერი, გამოცდილი ხელმძღვანელის ალ. თაყაიშვილის მეთაურობით, შექმნა მრავალი შესანიშნავი სპექტაკლი. ამ ახალგაზრდობას უნდა უმაღლესდეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ღღევანდელი მაყურებელი, რომ მას ასეთი თეატრი აქვს. დღეს ეს თაობა უკვე შედარაზრეულია. მისი როგვმე მრავალი გამოავლიდა კიდეც, მაგრამ ისინი, ვინც ჰყარა თეატრს, დღესაც ისეთივე სიყვარულით, მგზნებარებით, ახალგაზრდული გატაცებით ემსახურებიან თავიანთ საყვარელ ზორ მაყურებელს, როგორც 1928 წელს, როდესაც პირველად აიხსნა მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფარდა.

მერი ერგანელი

გოლის „ქორწინებაში“ და სხვ. ეს სახეები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

სალომე გულუბრყვილო გლეხის ქალია, რომელიც ერთი ფიქრით — შვილის ზედინებებაზე ფიქრით ცოცხლობს, და ამ ზედინებებად ქალიშვილის კარგ გაზრდილობაზე გახიზნობს მისი. მერი ერგანელის სალომე გარკვეულკენა-ქალია, მოსიყვარულე და ცუდი. მისი თვალში ადამიანის სიყვარულითაა ანთებული, მაგრამ საკმარისა წარმოიდგინოს, რომ მისი ქალიშვილის ზედინებებს საფრთხე ემტკრება, რომ ეს მორჩილი არსება გაფრთხილდეს,

ყალბე შედგეს. როცა ამ როლს თამაშობდა, მსახიობი ერთ სცენაში იმგვარად ცქცევდა, რომ თავისი დრამატული ბედნიერების გამო, სრულად გამოხატა.

სულ სხვა გაცნობილი გაიძვერა თიმასალ-მაკო. თავისი გამოუმეტყველებით, შემარავი საუბრით, რბილი, მოწონილი მოძრაობით, ზოგჯერ ძალიან ავი, უფრო ხშირად კი ნაძალადევალი ალერსიანი გამოხედვით, მელას მოგაკონებთ.

აგერ მოხუცი კუჟუშკინა — ოსტროვსკის კომედიის ეს შესანიშნავი პერსონაჟი. იგი არც კეთილ სალომეს ჰგავს, არც გაიძვერა თიმასალ-მაკოს. მსახიობმა კუჟუშკინას სახით მაყურებელს წარმოუდგინა ოსტროვსკის ღრწინიანი რუსი მეზმანი ქალის მხატვრული პორტრეტი. იგი არა მარტო გარეგნულად დაუმსგავსა თავის გმირს, არამედ შესანიშნავად დაგვანახა მისი სულღაბალი შინაგანი ბუნება, მისი სიხარბე, გულუფლობა, სიანჩელო.

იმავე ავტორის ბიესაში „უცარი სიმდიდრე“ მერი ერგელმა შექმნა ფეტიხიას სრულყოფილი მხატვრული სახე.



რა მაყურებელი. თავისი ხანგრძლივი ინტენსიური შემოქმედებით მუშაობით მერი ერგელმა მოიპოვა სერიოზული, მაღალკულტურული ნიჭიერი მსახიობის ავტორიტეტი და ნორჩი მაყურებლის დიდი სიყვარული.

ალექსანდრა ლვინიაშვილი

როდესაც ალექსანდრა ლვინიაშვილი 1930 წ. პირველად შედგა ფეხი მოზარდთა თეატრში, მთელი მისი გამოცდილება ერთ სპექტაკლში მონაწილეობით ამოიწურებოდა. ალ. ლვინიაშვილი აღიზარდა, პროფესიონალ მსახიობად ჩამოყალიბდა ალ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით და კომპლექტის მეგობრული დახმარებით.

ალ. ლვინიაშვილის თეატრალური კარიერა მასობრივ სცენებში მონაწილეობით დაიწყო. დაკვირვებულნი, მონდომებული ახალგაზრდა ყურადღებით უცქერდა მთავარი როლების შემსრულებელ მსახიობებს, გაუღის-ყურით უსმენდა რეჟისორის შენიშვნებს. სადებიუტოდ მას მისცეს რთული როლი — გარდო „სურამის ციხეში“. მსახიობმა შესძლო ჩვენებინა ამ სახის ძირითადი ნიშანი — გარდოს გარდაქმნა კეთილშობილი, უბერი გლეხი გოგონადან ავსულ მარჩიულადღე მსახიობმა შესძლო ჩვენებინა, თუ როგორი ფანატური შურისგების გონივრით არის შეპყრობილი გარდო ღურმეზანის მიმართ.



რებლის თვალწინ მსახიობმა. ახალგაზრდა ქალიდან ღრმა მოხუცებულიობამდე მიდის. ეს რთული გზა წარმატებით დასრულდა.

ანგარებით აღსავსე, გულცივი, ფარისველი — ასეთია ალ. ლვინიაშვილის მისი მინიმალური სპექტაკლში „ალ-მასის საბადოები“. ამ ზეიად, ავადმირალ, ბოროტ ასსებას, ძუნწი, მაგარად მეტყველი შტრიხებით ანსახიერებდა. ალ. ლვინიაშვილის მიერ შექმნილი სახეები ყოველთვის დამაჯერებელია. არა მარტო ადამიანებს, ფრინველებსა და ცხოველებსაც კი საკვირველი სიმართლით ანსახიერებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბავშვებში ოფოფი სპექტაკლში „მასობის ზაპარი“. მსახიობმა ოსტატურად წარმოსახა თავის თავზე შეყვარებული ეს უწინაა ფრინველი, მონახა მეტად დამახასიათებელი დეტალები მის ქცევებში და გარეგნობაში.

სპექტაკლში „ბედნიერებისკენ“ ალ. ლვინიაშვილმა შესანიშნავად განასახიერა წყვარამიხე. ამ სახის სირთულე იმპია, რომ წყვარამიხე მაყუ-ახალგაზრდა ქალიდან ღრმა მოხუცებულიობამდე მიდის. ეს რთული გზა წარმატებით დასრულდა.

ნადეჟდა სირილაძე

1933 წელს ცამეტ წლის აქტიორული სტაჟით მოვიდა მოზარდთა თეატრში მსახიობი ნადეჟდა სირილაძე. 6. სირილაძე პირველად 1914 წელს გამოვიდა ბაქოს ქართული დრამატული წრის მიერ დადგმულ ინსცენირებაში „ჩვენი დროის გმირები“. სპექტაკლში ჭირადობით

გოგონა, რომელიც შეძლებდა ლექსის წაითხვას და სიმღერას. ეს დავალება ჯერ კიდევ ათი წლის გოგონამ 6. სირილაძემ პირნათლად შეასრულა.

1920 წელს თექვსმეტი წლის 6. სირილაძე ქუთაისის თეატრის დასში ჩაირიცხა, რომელსაც იმხანად შალვა და-

ლიანი ხელმძღვანელობდა. მოხდენილმა სცენურმა გარეგნობამ, სასიამოვნო ხმამ და მუყაითმა შრომამ მალე ჩააყენა ნ. სირბილაძე წამყვან მსახიობთა რიგებში. შემდეგ მსახიობმა მოიარა რაიონული თეატრების — ჭიათურის, ფოთის, ზესტაფონის სცენები.

პირველი როლი, რომელიც მან მოზარდთა თეატრში ითამაშა, იყო შინაბერა ქალის აგრაფინას როლი. გაღიზიანებული შინაბერა ქალის მიზეზიანობა, მისი სურვილი ყველას თავი მოაწონოს, ყველას გააუიჯღეს, მრავალ უხერხულ მდგომარეობაში ავლენს მას. ეს შეუსაბამობა, გიჟის მიერ დროის შეგრძნობის ანაქრონიზმი ჩინებულად იგრძნო და გადმოსცა მსახიობმა.



მიუხედავად ამ პირველი როლის წარმატებით შესრულებისა, შემდეგ ნ. სირბილაძე აღარ თამაშობდა ამგვარი ხასიათის როლებს. მის რეპერტუარში მთავარი ადგილი დაიკავა ძლიერი ნებისყოფის, ჭკვიან, დარბაისელ ქალთა როლებმა, რომელთაც მსახიობი ანსახიერებს დიდი სიღრმით, დამაჯერებლობით და სიყვარულით, თუმცა ნ. სირბილაძეს ხელი არ აუღია არც სახასიათო როლებზე. ნ. სირბილაძე ღირსეულად ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებას და კიდევ უფრო მეტის მონდომებით, პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურება მოზარდთა აღზრდის სამკატო საქმეს.

ირინე დონაური

კ. მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გაატარა მსახიობმა ირინე დონაურმა თავისი აქტიორული შემოქმედების პირველი წლები. იგი თეატრში მივიდა სრულიად ახალგაზრდა, თვალგანთქებული, სიცოცხლით სავსე. კ. მარჯანიშვილმა სწორად წარმოაჩინა ირ. დონაურის ნიჭი, ბევრს მუშაობდა ხოლმე მასთან და ამათ მტკიცე საფუძველზე შეუქმნა მსახიობის აქტიორულ შემოქმედებას. მარჯანიშვილთან მუშაობის წლებში ირ. დონაურმა გამოკვეთა არაერთი საყურადღებო სახე. კ. მარჯანიშვილის შემდეგ ირ. დონაური სამუშაოდ მოზარდთა თეატრში გადავიდა. ირ. დონაურის პირველი როლი იყო ვარდო „სურამის ციხეში“. სექტეკალის პირველ ნახევარში ირ. დონაურის მიერ განსახიერებული ვარდო იყო კდემისილი, უწყინარი, გიგრიცხლი გოგონა ფართოდ გახეილილი თვალებით, უზომოდ შეყვარებული ღერმბიზანზე. ეს ყოვლის მძლეველი გრძნობა ჩანდა ირ. დონაურის ყოველ სიტყვაში ყოველ გამოსვლაში. ძნელი იყო მსახიობისათვის ექვენიდან გოგონას გარდაქმნა შესაზარ, გულბოროტ მკითხველად.



5 წელი დაჰყო ირ. დონაურმა მოზარდ მაყურებელთა თეატრში 5 წლის მანძილზე ირ. დონაურმა მრავალი დამახასიათებელი, საინტერესო მხატვრული სახე შექმნა.

შემდეგ ირ. დონაური სოხუმის თეატრში მუშაობდა. იქ საინტერესოდ და ახლებურად გახსნა მრავალი სხვადასხვა ხასიათის როლი, როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური ანბან და კლასიკური დრამატურგიიდან.

1955 წლიდან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ირ. დონაური კვლავ დაუბრუნდა მოზარდთა თეატრს და მოკლე ხანში განსახიერა დიდებული მომხიბვლელი ქრუჩინა („უდასწავლო დამანაშავნი“), სიყვარულით შეპყრობილი ბოროტი და ჭკვიანი აღელმა („პრინცესა ტურანდოტი“), ყმა ქალი მავლა („ოქროს თაევზიანეზი“), გერა მიხაილოვნა („სახეფათო მიჯნასთან“) და რაინა („ამჟვენიური საშობი“).

გიორგი დარისანაშვილი

ლადო კეცხოველის, ემელიან პუგაჩოვის, გენერალ ლესელიძის როლებში ხელდათ მკვლევარ და ბოზოქარ გაქცეს. როცა ცხოვრებაში ნახავთ ამ როლების შემსრულებელს, გაოცებული დარჩებით: თქვენს წინ მშვიდი, დარბაისლი აღმართა; ეს ბავშვების საყვარელი მსახიობი გიორგი დარისანაშვილია.

მრავალწიერიანია კ. დარისანაშვილის მოღვაწეობა. მას აქვს საინტერესო საკუთარი რეპერტუარი, იგი წერს პიესებს და ეწევა რეჟისორულ მუშაობას. მის საუკეთესო როლებს — ლადო კეცხოველს, როზინ გულს მრავალჯერ

აუღლებებია ჩვენი მაყურებელი. ამ სცენური სახეების მხილველთ ღელსაც ასხვით თეატრში განცდილი მძაფრი ამაღლებელი წუთები.

ჩვენ რომ კ. დარისანაშვილის მიერ განსახიერებული გმირები ჩამოთვალეთ, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ვინმეს მოერყენოს, რომ მსახიობს საკმაოდ ერთგულანია, განსაზღვრულ როლებში უხდება გამოცემა. მაგრამ რაოდენ განსხვავებულია მის მიერ შექმნილი სცენური სახეები ურთიერთისაგან! საკმაო ვავისნოთ ქართველი მამულიშვილი ბიძინა ჩოლოყაშვილი („ბაზი-აჩუი“), ინგლისელი

ბერი ლორენცი („რომეო და ჯულიეტა“), თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსი გლეხი ემელიანე პუგაჩოვი, ბოლოს სამამულო ომის გმირი — გენერალი ლესელიძე, კარდინალი მონტანელი („კრახანა“), რომ ჩვენ დაერწმუნდეთ თუ გარდასახვის რა უნარითაა დაჯილდოებული იგი.

ნორჩ მაყურებელს უყავს გ. დარისპანაშვილი. მის მიერ განასხიერებული გმირებისაგან ბავშვები სწავლობენ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული, მეგობრის გატანა, ხალხის ბრძენის წინააღმდეგ ბრძოლა.

თეატრში მოსვლამდე გ. დარისპანაშვილმა ცხოვრების საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი გზა განვიდა. იგი ოქრომჭედლის მეგობრად იყო, ავღაზრის მუშათა კლუბის სცენის მოწყვეტი, აქტიური კომპაგნიერი, მუშაყაის მსმენელი, კომ-



კავშირული დრამატული წრის რეჟისორი.

1928 წლიდან, დღემდე მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დაარსების, მოვიდა იგი ამ თეატრში და უცვლელად მოღვაწეობს აქ.

გ. დარისპანაშვილმა ამ თეატრის სცენაზე აარები დადგმა განახორცილა, მათ შორის, ალ. კაკაბიშვილის „პარტიზანები“, ს. მთავარის, კ. ბუაჩიძის „აურიე რგოლი“, გ. ბერძენიშვილის „სერგო“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, „ბაში აჩუკი“ (ალ. კაკაბიშვილის ინსცენირებით) და სხვ. ამათგან განსაკუთრებული წარმატება ხვდათ სპექტაკლებს „აურიე რგოლი“ და „ბაში აჩუკი“.

ნორჩმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო მისი პიესა „სამი ამხანაგი“, რომელიც დადგა თვით ავტორმა 1932 წელს.

ალექსანდრე კაკაბიშვილი

მკვეთრად სახასიათო მსახიობია ალ. კაკაბიშვილი, მას მრავალი როლი აქვს შესრულებული, და ყოველი მათგანი ფაქტობრივად დამუშავებული, ღრმად გააზრებული და საინტერესოდ მოფიქრებული ჰქონდა.

მსახიობს გავლილი აქვს სპეციალური თეატრალური სკოლა — დაასრულა საკინოზრეჟიზო არსებული სტუდია, შედგე 1927-1933 წწ. მუშაობდა ესტრადაზე, მოგზაურობდა რაიონებში, უცხოეთშია ჩვენი ხალხის ცხოვრებას და ამიერიდან თვის აქტიურულ მალიტრას. ამიტომაც არის, რომ მსახიობი ახერხებს ყოველ გმირს გამოუტენოს რაღაც თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. აქტიური ადოლი და დაყვირების უნარი ეხმარება ალ. კაკაბიშვილს დასძლიოს სხვადასხვა ხასიათის ისეთი როლები, როგორიც არის გაქნილი და გაიძვრა ფიცლი („კომში“), ცხოვრებისაგან გათოლოლი ჰამო („გეორგი“), ჭკიანი და მოხერხებული კაცუტა („ბაში-აჩუკი“), დიწი, საზოგადო. მტკიცე ნებისყოფის გიორგი („ბორის ძეგლი“), მოსიყვარული, მიმდნობი, ალალმართალი გლეხი პეტია („გლახის ნაამბობი“).

მიამიტობის საბურავში გაახვიდა მსახიობმა თავისი ფიქლა, რომელიც ძალიანა მოწოდინებული შეინიშნოს, ხალხს თავი გულმართლად მოაჩვენოს. თავს დაშლა ხრის, ხმას რბოლ ხმოვანებას აძლევს, მაგრამ თვალბი... თვალბი ამ დროს ისე ციბირად უციბციმევენ, ისე ავად კიაფთბს ორი პატარა ნაპერწკალი, რომ ადამიანის მთელი არსების მოთვლა ამ თვალბი მთბმა ძნელი არ არის! ალ. კაკაბიშვილის გმირბის თვალბი, გამოხედა ყოველბის განსხვავებულბა ერთმანეთბსაგან. ასე, მაგალბად, მორჩილი, სველიანი და წამებული ჰამო რა იმედბთ, სასოე-



ბით შესცქერის საბრალო გიორბს ქალბში დატოვების დროს, და როგორბი სასოწრბკეთილბით არბს აღსასკე იმბვე ჰამბოს მზერა შეიბის ცხელბრან. აქ ჰამბოს გამოხედეა გავაძნობბინებთ, რომ მბსთბის ყველბფერი გათბედა, რომ მბს ჩაუტრა ერთბდერბთ იმბდის შუბბ... ან აგილბთ კაცუტა („ბაში აჩუკი“), მოხერხებული, მოსიყვარული, მუდამ მზიარული, რომბის თვალბში, თბთი მიჯნური თან საუბრბს დროსბც კი მბცდური ნაპერწკლები კრბის.

ალ. კაკაბიშვილბს გმირბზე თბმამბად შეიბდეზბა ითბეს — თვალბბი ადამიანბს სულბს სარბკეო, — ისეთი სიმბართლბთ გამბხატბვენ ხბლმე ისინი ამბ თუ იმ გმირბს ბუნებბს.

ჭეშმარიტბად სრულყოფილი, ღრმბზროიანი, ძლიერი სოციალური კლერბობბის მბიონეა ალ. კაკაბიშვილბს მიერ განსახიერებული ბეიბის სახე. სცენაზე ცოცხლობბა, სცენაზე გარბდაიცვალბ სწორბდ ის ბეიბა, რომელიც ილიბს მბდლიანბა კალამბა შეტბმბა და რომბლბსაც ასე კარგბდ იცნბბს ყოველი ჩვენგანი.

ხმირბდ მონბაწილბობს ალ. კაკაბიშვილი საბავშვო რადიო გადბცემბთა პროგრბმებში, და აქ იგი ახერხებს მხოლოდ მეტყველბის საშუალებბთ შეტბმბის საინტერესო სახე.

ალ. კაკაბიშვილი აქტიურ დრამატურგიულ მოღვაწეობბსაც ეწევა.

მოზარდ მაყურებელთბს თეატრბს სცენაზე დადგბ მბსი „პარტიზანები“, ჩვენი ადამიანბს, „ამბავი ორი ბიბისა“, აკბის „ბაში აჩუკბს“ ინსცენბრბა. ალ. კაკაბიშვილბს კალამბ ეკუთვნბს პირფერი საბავშვო პიესბ სამამულო ომბს თმბზე „გაიბარი“, რომელიც დიდი წარბბებით მიდიობბა რამდენიმე სეზონბს მანბილზე.

რეუბეა საერთოდ, მით უფრო ძნელი იყო ეს გ. არემიძის-
სათვის, რომელსაც ან როლის განსახიერება მოუწია მო-
ხარფთა თეატრის ყველაზედ უფრო პოპულარული და
საყვარელი მსახიობის ვითრაც ამაშიძის შემდეგ. მაგრამ
გ. არემიძემ დასძლია ეს სიძნელე. მისი რომელი ზოგჯერ
შმაგი მიჯნურია, რომელმაც არც კი იცის რას მოემქვრის,
ზოგჯერ კი უზომო სველი შეყვარობილი; ხან ჭარბად აე-
ზოგებოდა, ხან კი სრულიად ძალაგამოთვლილი.

მანვე განასახიერა: სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ბაში არუღი, მოქნილი, სხარტი, ძლიერი, დაუნდობელი და ამავე დროს მოსიყვარული; ხალისიანი შრომით გატაცებული მოზუცი მირიანი პიფისიდან



აქედით ჭრილობა"; უკუღმართი შეს-
წევნილებს მსხვერპლო, ცხოვრებამი
ვააგებული გრიშკა ნუნამოვი; და,
ხოლოს, სამიქალაქო ომის ლტყენდ
რული გმირი ვასილ კიკვიძე — დიდი
ტყმუარმენისა და დუშურტოვ
გრივრის აღამიანი. ვ. არეშიძის კიკ-
ვიძის გამოხედვა აქეს ნათელი, ნაბი-
ჯი — მტიკცე, ხმა — ძლიერი, ზეაწე-
ული, სიტყვა — პათეტური. მაგარმა
რამდენი სითბოა ხოლმე ამ ხმამ,
როდესაც იგი მეგობრის ესაუბრება.
მათისი ქრება და ხმის ემტება შთა-
მაგონებული ძალა. სანტარესო ყოფ-
ვ. არეშიძის მიერ შექმნილი კაპარა-
ოვის („ძორწინება“) და საცეს („ამ-
ქვენიური სამოთხე“) სახეები. ვ. არეშიძის ანტი, ონაგარი
ბიჭუნაც ეანუსახიერება და ღრმა მოსოციალ. ბერი ცრემ-
ლი მოუწყვეტია ნორჩების თვალთაგან, ბერჯერ გაუხარე-
ბია ისინი... თვითონც ბერჯერ გახარებულია მაყურებლის
ნამდღელი წრფელი სიყარულით.



ქვეყნური სამოთხე“) სახელით, ვ. არეშიძეს ანცი, ონავარი ბიჭუნაც განუსაზიერებია და ღრმა მოზოციც. ბევრი ცრემლი მოუწყვეტია ნორჩების თვალთაგან, ბევრჯერ გაუხარებია ისინი... თვითონაც ბევრჯერ გახარებულა მაყურებლის ნამდვილი წოდებით საყვარლით.

A black and white portrait of a middle-aged man with receding hair, wearing a dark suit, white shirt, and a striped tie. He is looking slightly to the right of the camera with a neutral expression. A small, light-colored circular object, possibly a pin or a badge, is visible on his left lapel. The background is dark and out of focus.

დროს საკმაოდ მოხერხებულია ნინუას მიერ განსახლებული სოფლის მომსახურე ყარაშანი („პატარა მეომრები“), თითქმის მსახიობი თავს იწველებდა და რა მიმართადა რაიმე ღვევით, გაჩეხვულ შტრიხს, რაათა გმირის კომიკური შეუსაბამოზანი გადმოეცა, მაგრამ მაინც დიმილის გაჩეხვით ვერ უყურებდით მას.

სრულად სხვა გრძნობას ბაღებდა
მაყურებელში სოციალური უკუღმარ-
ელობის მსხვერპლი — შშმები. მასობრი-
ვად იგი ისეთი თვისებებით აღჭურვა-
რნი მაყურებელს განუზომლად ეზრა-
ლებდა ეს კეთილი, მაგრამ ცხოვრების
ფსევტზე მოხვედრილი დაღამიანი. ნი-
შნად შშმა ამაყად თავაჯდული და-
ლის, ტონივრ მდიდური აქვს, მაგრამ
ას სიაშკესა და ნამდვილ ცთოარებას
შორის იმდენი შეუსაბამოა იყო, რომ
იგი უნებლოე სიცილს იწვევდა, მწე-
რა. (არამონარეკ სიცილს.

„გლახის ნამშობში“ ივ. წინაუაზროს როლს ასრულებს. კეთილშობილი, თავდადებული, მოსიყვარული მამული — აი წინაუაზროს გარდაცვალების პირველი ნახევარი; წმინდა ტრადიციების ცეცხლითაა ანთებული იგი თამარისთან სცნაში; ბეპასთან საუბარში მსახიობი მყურებელს ატყუებს თავისი სიმართლით, უშუალოდობით, გულწრფელობით.

ბით. გვერათ, — მხოლოდ ასეთ საუბარს თუ შეეძლო გაეკუთვნა პეიზის გულში უფიქრობის ყინული. და აი, ეს თაღმჯიველი, ბატონის ერთგული ახალგაზრდა, უწყინარი და კეთილი, ცხოვრებამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხელი შეშინა თავის ბატონზე. დათიქოსთან შეხედრის სცენაში გაბრა ჩანს როგორც სიმართლისათვის მებრძოლი, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი; ი. ნინუას თვალში, ნაცვლად აღრინდელი სიყვარულისა, აღსაცხა დაუძლეველი ზიზღით და სიძულვილით დათიქოსადმი.

საინტერესო სახე შექმნა მსახიობმა გ. ბერძენიშვილის ბეისაში „იკოპლი მეწისქვილ“. სადაცმყოფის დარაჯი ჯანბრალი მთელი სოფლის საუკრადო მოხუცია. უყვარს ხალხს მისი კეთილი გული, ტბილი სიტყვა, მისი ზღაპრები. პატყას სცემენ მის სიღარბისაღესა და გამოცდილებას. პირველი ნახვითანვე მაყურებელი ამ გულკეთილი უწყინარი მოხუცისადმი სიმამითი იმსკეტება. მაგრამ როცა ირკვევა, რომ ეს „უწყინარი“ ბერძენი ხალხის და ქვეყნის მოღალატეა, მისდამი სამართლიანი ზიზღით და რისხვით იცხება ნორჩი მაყურებლის გული. მაყურებლის

ასეთი რეაქცია ვ. ნინუას აქტიორული ოსტატობის შედეგია. მსახიობი ცდილობს, რაც შეიძლება, უფრო მამაკაცი ჯერებულად ააფორას ჯიბიანალს კეთილშობილების ნიღბი, რათა მაყურებელმა შემდეგ უფრო მწვავედ განიცადოს მისი ორგულობა.

სპექტაკლში „ზამთრის ზღაპარი“ ივ. ნინუა ანსახიერებს მელაია-თავადის როლს. გარდა მელაია-თავადის დამახასიათებელი მოქნილობისა, ცბიერი გამოსვლისა, მსახიობმა ამ ცხოველს მისცა მედიდურობის იერი, მის ზმას—მგრძანებულთა ტონი და ამით ხაზი უფრო იმ გარემოებას, რომ ეს უბრალო მელაია კი არ არის, არამედ წარჩინებული თავადია.

არა ნაკლებ საინტერესო განსახიერა ივ. ნინუამ მეორე ცხოველი—ზღარბი სპექტაკლში „ტყის პირას“. როდესაც ივ. ნინუას ზღარბს უყურებთ, გგონიათ მისი სიტყვა და მგერა ისე გჩვენდება, როგორც ზღარბის ეკლები...

ივ. ნინუა მეორე ნიჭიერი მსახიობი ვახტანგ ნინუასთან ერთად ესტრადაზე მოღვაწეობს და აღიარებულია ქართული ესტრადის ერთ-ერთ მოწინავე მსახიობად.

ბიოგრაფიული

ვის არ უნახავს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის საუკეთესო სპექტაკლი „ნაცარქექია“, ვის არ უცინია გულთანად ქართული ზღაპრის ამ გასაოცარი პერსონაჟის თავგადასავალზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დვისაძე ასახიერებდა. მან ნაცარქექია წარმოგვიდგინა მეტად სხარტი გონების, მიღიარო ფანტაზიის ადამიანად. იგი იმით გამოიყოფა, რომ ცრუ და თაღმჯიველია. არა, მას თვითონ სჯერა, თვითონვე ერთობა თავისი ტყუილებით. მსახიობმა სრულის სერიოზულობით წარმოსახა ეს ძალზე სასაცილო ადამიანი. წარმოსახა ისე, რომ ერთი წუთითაც კი არ უცდია გაეცინებია მაყურებელი. მეტად თავისებური გარეგნული იერი აქვს გ. დვისაძის ნაცარქექიას: ამაყად ახსოვტილი წარბები, კობტად აწეკიბილი უღვაწეები, მოქნილი, სხარტი, მოძრაობა და გამოქცევა. საოცარი გამოხედვა! როდესაც დვისაძის ნაცარქექია გასაქრწმნია, მის თვალში მხოლოდ წუთით გაიკლავება შიშის გრძნობა, შემდეგ კი იგივე თვალში გაერბნება დაძაბულ, ისტერიული სისწრაფით აღმუშავებულ გონებას. ხოლო როცა ნაცარქექიას გასაქრწმნია არა ადგია, მაშინ მის თვალში ისევ, როგორც საერთოდ მის გარეგნობას მთლიანად, მედიდურობის და თვითმკაცრობის იერი გადაკარგება.

საინტერესოა, რა გზა გაიარა გ. დვისაძემ, ვიდრე ნაცარქექიას ამ შესანიშნავ სახეზე მივიღოდა!

გ. დვისაძე ქუთაისში იზრდებოდა. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფე 1928-30 წლებში სისტემატურად ესწრებოდა კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ქუთაისის თეატრის სპექტაკლებს, რომლებშიც უ.წ. ჩხიძე, გ. ანუაგრაძე, შ. ლაშაშვილი და სხვა დიდად ნიჭიერი მსახიობები მონაწილეობდნენ. ამასთან, გ. დვისაძე მეცადინეობდა ამ თეატრთან არსებულ ექსპერიმენტულ სტუდია-სახელოსნოში, სადაც შეითვისა პროფესიული აქტიორული ჩვეულებები.

1931 წელს გ. დვისაძემ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. სწორედ იმ ჯანჯანულ პირველად ეწვია ქუთაისს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. იგი შეეძგადა



ამ თეატრს და დღემდე პირნათლად ემსახურება ნორჩი თაობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეს.

გ. დვისაძემ მრავალი როლი ითამაშა, მაგრამ მის ერთ-ერთ პირველ საუკეთესო ნამუშევრად რჩება მდივანი სპექტაკლიდან „რობინ გუდი“. დვისაძემ იგი დაგვიხატა როგორც მოსულელი, ხარბი, ბოროტი ადამიანი, რომელიც დათრევს რაღაც უზარმაზარ ძვალს, და როდესაც ამ ძვალს გადაუვადებენ, საშინლად სასოწარკვეთილი გაიძახის „ჩემი ძალი... ჩემი ძალი...“, და დაეძვება მას ისე, როგორც ადამიანი დაკარგულ განძს დაუწყევბა ძეგას.

აქტიორული ოსტატობის სხვა მხარეები ვგვიჩვენა მსახიობმა უკრანელი გლეხის ილექსას როლში. ეს ენერგიული, ხალისიანი, სიყვარულის მოტრფიალე მოხუცია. ამ როლისათვის მსახიობმა გამოახა ისეთი საღებავები, რომლებმაც მისი ოლექსა სავერდით

ორიგინალურ სახედ აქცია. ამ როლში მსახიობისათვის განსაკუთრებით სახიფათო იდგოდი იყო სიმთვარის სცენა, მაგრამ გ. დვისაძემ ავი დიდი ტექნიკა და ზომიერებით ჩაატარა და ამით კიდევ უფრო ცხოვრებისეული, მართალი გახდა თავისი როლი. ამ სცენურ სახეს თითქმის რაღაცენი ენათესავება, მაგრამ იმავე დროს მასგან დიდად განსხვავდება გ. დვისაძის მოხუცი პეტროვიჩი სპექტაკლიდან „თამარის ბაქანი“.

სპექტაკლში „ბორის ძნლადი“ გ. დვისაძე გამოვიდა მესმევიჩი მინისტრის როლში და დაანახა მაყურებელს ენესმევიჩური მოაზრობის მთელი უსუსურობა, უნადგობა.

სრულიად საპირისპირო თვისებებით ატყუვდა მსახიობმა თავისი მეორე გმირი, კიკიძის თანამებრძოლი ტიტო კი, რომელიც მისი შესრულებით მხიარული მგზნებარე, სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდაა. თანამებრძოლთა ერთგული, ხოლო მტერთან დაუნდობელი ტიტო ახალგაზრდულად ფიცისა და ზოგჯერ თავდადებულობის კაბიტან ციციშვილის დაუიხების სცენაში ტიტოც ღრმად შეურაცხყოფილი და გამძვინვარებულია თავისი თანამებრძოლის უღირსი საქციელით. სტანცაში ლხინის დროს ტიტო უღირაწვევებით მხიარულობს, ცეკვავს, მღერის,

ოხუნჯობს და ყოველივე ამას გასაოცარი ბუნებრიობით წარმოგვიდგენს. კიკვიძის სიკვდილის სცენაში კი მსახიობმა გაბგავცდევინა მტკიცე ვაჟაყვის ტიტკოს დიდი სულიერი ტრაგედია.

საინტერესო, თავისებური იყო გ. დელსაძის მიერ განსა-

ხიერებული მსახური სპექტაკლში „80 დღე დელამიწის გარშემო“.

ხშირად ასრულებს გ. დელსაძე ბავშვების როლებს, და მისი მთავარი ღირსება ამ როლებში ის არის, რომ არასოდეს არ ცდილობს ბავშვი ითამაშოს.

ნიკოლოზ ხორავე



ნიკოლოზ ხორავეს აქტიორული ბიოგრაფია ბათუმის რუსული დრამატული დასის წარმოდგენებში მონაწილეობით იწყება. თეატრით გატაცებული ოკი წლის ახალგაზრდა 1925 წელს მოვიდა თეატრში და სულ მოკლე ხანში შეასრულა არაერთი წამყვანი როლი სპექტაკლებში — დღენი ჩვენი ცხოვრებისა, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „კარანა“, „მეუღლეა წყვილიდისა“, „კონსტანტინე ტერეოხინი“ და სხვ. ისინი, ვისაც უნახავს ნ. ხორავეს მიერ რუსულ სცენაზე განსახიერებული ნუნამოვი, აღტაცებით იგონებენ ახალგაზრდა მსახიობის მიერ ამ ძალზე რთული როლის შესრულებას. ნ. ხორავეს ნუნამოვი იყო ცხოვრებისაგან გაბოროტებული, გზა-აბნეული ახალგაზრდა, მაგრამ თვით უმძაფრესი გავების მომენტებშიც კი იგრძნობდა მის ხმას და გამოხედვამი მწარე გულსტკივილი, სიწარული იმის გამო, რომ იგი ასეთია, ჩანდა სულის სირბილე ჩამარბული კეთილშობილება. რა ბედნიერება ეფუძნება მის არსებას, როდესაც მშობლიურ ალერსის მონატრებელი ჭაბუკი ნუნამოვი დედას პოულობს!

უფრო გვიან, თბილისის საინჟინრო ინსტიტუტში სწავლის დროს, ნ. ხორავე მოღვაწიებდა თბილისის მუშათა თეატრში. ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა მსახიობი ბათუმს დაბრუნებული. აქ მან ადგილობრივ ქართულ თეატრში დაიწყო მუშაობა რეჟისორ მიხ. ქორელის ხელმძღვანელობით. არ შეძლება არ მოვიყვანო ერთი ფაქტი ბათუმის თეატრში მისი მუშაობიდან, ბათუმში საგანსტროლოდ უნდა ჩასულიყო ალ. იმედაშვილი. იდგებოდა „ოტელიო“. წარმოდგენის მოსამზადებლად ალ. იმედაშვილმა თავისი კოლეგა და მეგობარი ალ. ყალაბეგიშვილი გაგზავნა, რომელმაც კასიუს როლი ნ. ხორავეს დააკისრა. როდესაც იმედაშვილმა რეპეტიციაზე მოისმინა ნ. ხორავეს ხმა, განცვივდა: „როგორ მოხდა, რომ ასეთი ხმის, ასეთი მოხატულების მქონე ახალგაზრდას იაკოს როლი არ მიეცეოდა? ალ. იმედაშვილმა იგი იაკოს როლით გამოიყვანა, ნ. ხორავემ სავსებით გაამაგებოდა დიდი მსახიობის იმედი — ბრწყინვალედ განასახიერა იაკო. ყოველივე ამან მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნ. ხორავეს შემოქმედებითი ბიოგრაფიაში. შემდეგ მსახიობმა თავისი სასცენო მოღვაწეობა გააგრძელა ჭიათურის, ფოთის, თელავის თეატრებში. მაგრამ ნაღველი აქტიორული სკოლა მან გააიარა კ. მარჯანიშვილთან, მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

შემდეგ წლებში ნ. ხორავეს ეჭირა წამყვანი მსახიობის მღაომატობა თბილისის სახელტეტურის თეატრში, ამ თეატრის სცენაზე ნ. ხორავეს მიერ შექმნილი სახეებიდან განსაკუთრებით საინტერესოა: რიგარესი სპექტაკლი „კარანაში“, ოსვალდი — იმსენის „მოჩენიანში“ და ბრმის როლი სპექტაკლში „ბრმა მუსიკოსი“. განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს მსახიობი რიგარესსა და ოსვალდს.

ოსვალდი მან ითამაშა ისეთი დიდი მსახიობის გვერდით, როგორიც არის ნინო ჩხეიძე. ამბობენ, სპექტაკლი „მოჩენიანში“ იყო ნინო ჩხეიძისა და ნ. ხორავეს შესანიშნავი დუეტით. დიდხანს შერჩება მაყურებელთა სიონას რიგარესის სახე. შემდეგში იგივე რიგარესი და კარდინალი მონტანელიც ნ. ხორავემ შესანიშნავად განასახიერა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე.

როცა 1934 წელს ნ. ხორავე მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მოვიდა, უკვე გამოცდილი მსახიობი იყო. აქ, ამ ახალ თეატრში, ნ. ხორავემ მრავალი სიამონება განაცდევინა ნორჩ მაყურებელს, მრავალჯერ დაიმსახურა მათი თანაგრძნობა და სიყვარული, გატაცებით აღევჩენდნენ თვალს ბავშვები ფილას ფოჯის უცნაური სათავგადასავლო ამბებით აღსავსე მოგზაურობას დელამიწის გარშემო. ზოხით ხვდებოდნენ ჩარჩ ვაჟარს, რომელიც ასე დაუნდობლად სტანავდა და აწვავდა მათ საყვარელ გემის გიჟორს (ო. თუმანიანის „გიჟორი“).

ოსტრეოვის პიესაში „უცნაური სიმღერები“ ნ. ხორავე ჩინებულად ითამაშა კრუტიციკის როლი. ჩინზაღმცქელი, ჩამქრალი თვალებით, წელში მოხრილი, — ასეთია გარეგნულად ნ. ხორავეს კრუტიციკი, რომელიც ფულის მოხვეჭის მანიითა შეუყრბილი, მხოლოდ ფულის ბრწყინვალე ასხივსენებს კრუტიციკის ჩამქრალ თვალებს. სამწიფი, ტრაგიკული იყო ხორავეს კრუტიციკისათვის ფულის დაკარგვის სცენა. მსახიობის სახეზე ნათლად ჩანდა, თანდათანობით თუ როგორ ჰკარგავდა კრუტიციკი ჭკუას.

ამის შემდეგ ერთ უფრო საინტერესო იყო ნ. ხორავეს მიერ განსახიერებული როლები — კეთილი, ჭკვიანი ადამიანი, ხელოვნების და ხელოვანთა მოტიფიკად დუდუკინი; ძლიერი, ფიზიხილი, სიკვდილის წინაშე შეუდრეკელი ილარიონი სპექტაკლიდან „ბორის ძეგლად“.

მოშიზველი სახე იყო ნ. ხორავეს აბლუშაპილი — პატისიანი მეომარი, რიზინი, მოქნილი, მოსიყვარულე და კეთილშობილი. რამდენადაც დიდია აბლუშაპილის სიძულვილი ბაში აზუკისადმი, იმდენადვე დიდმა და ფაქიზა მისი მოკარალებული სიყვარული სატრფოსადმი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. ხორავეს პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი მისმა სისტემატურმა მონაწილეობამ საბავშრო რადიოგადაცემებში, სადაც იგი მთავარ როლებს ასრულებს! ამ ბოლო ხანებში იგი ნორჩ ტელემაყურებელთათვის კითხულობს „ბაბუა თედორეს ზღაპრებს“.

ასეთი მოკლედ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობა პირველი თობის შემოქმედებითი მოღვაწეობა. სამწუხაროდ ამ აქტიორებზე ცოტა რამ იწერება, თუ ამ მიმხილვით ეს ხარვეზები ოდნავ მაინც შეივსება, მისი დაბეჭდვა გამარტივებულიად უნდა ჩაითვალოს.

„მზა შინა და მზა გარეთა“ შესახებ

ანა ლვინიაშვილი

ლექსი და ლოცვა, სიმღერა და გალობა ისევე ძველის-ძველია, როგორც თვით ადამიანი. ადამიანს თან დაჰყოლია სიმღერისა და გალობის მოთხოვნილება, რაც თანაგზაურად გაუხლია კირსა და ღონში. „სიმღერა გულსა სწავლება და ნაღველს აღვიძებს“ (ჯავა ფშაველა), „შენი ჭირივე გვიმღერე, სიმღერა გვიჩრებს ჭრილობას“ (ვ. ლეონიძე), ლოცვა და გალობა, ლექსი და სიმღერა ხალხში ლიტერატურის ყველა კანონზე ადრე გაჩენილა, როგორც აუცილებელი ელემენტი რელიგიური კულტისა. წარმართთა მიერ ტაძრებთან გამართული ჩვეუბრი სახალხო სანახაობას წარმოადგენდა და როგორც სამუსიკო, ისე სხვა ხელოვნებაც, სწორედ ამ ტაძართა წიაღში წარმოიშვა.

ბავშვის დაბადებას შობობები სიმღერით ეგებებიან, სიმღერა, გალობა და მუსიკა ადამიანს სამარცმდის მიაქილებს. ძველად ადამიანი დაძაბული შრომის მონაშაში იყო, მაგრამ მაინც ღილინებდა. გუთნისდა. მწყემსი, მშობარი, ხელოსანი თუ სხვა, თავის შრომას სიმღერითა და პოეზიით აკეთილშობილებდა. ხალხური სიმღერები შექმნილი ხალხის გენით უსარგულოა. მას ჩაუყრავ არ ესტატრობოდა. იგი იქნებოდა შეუწყვეტილი. მას ხალხი ქმნიდა და ხალხი სიმღერა ადამიანს შევლდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, სიმღერა ბრძოლისათვის უზნობა მეომრებს, სიმღერა ადიდებდა სახალხო გმირებს, მოუწოდებდა ვაჟაკობისა და გულადლობისაკენ, სამშობლოსა და ხალხის გადარჩენისათვის. ამიტომ იყო, რომ ხალხი ლექსებს მხოლოდ სასიმღეროდ თხზავდა. ლექსი და ლოცვა, სიმღერა და გალობა თითქმის შესატყვისი ცნებებია. თუ სიმღერა, როგორც დიდი ილია იტყვად, „იგივე ცრემლია, რომელიც მამინაც მოდის, როცა გულს წყურხარეა ჰეუშავს და მამინაც, როცა დიდი სიბრძნული ეწევა“ — მაშინ ძეგლობაძელი ლექსი ჰმნადა უნდა მივიჩნიოთ მიმართული სხვადასხვა ფაქტებისა და ბუნების რომელიმე გადმართებული მოვლენისად, რომლის წინაშე გონებაგაუსწნელი ადამიანი ძრწოდა, ცდილობდა მის მოფერებას, გულის მოვებას, თავყანისკცობას, რათა ბოროტება რამ არ გამოეგზავნა მის ოჯახში.

* * *

ქართული ტომები არა მარტო არ ჩამორჩნენ სხვა ხალხებს მუსიკალური კულტურის, სიმღერისა და გალობის შექმნაში, არამედ, თითქმის ყველას წინ უსწრებდნენ მეტად მაღალი მუსიკალური კულტურით. იმ უმწველიერესი და უძლიერესი ლექსებით, სიმღერებითა და მუსიკით, რომლებიც განსაკუთრებით ქართველმა მშრომელმა გლეხებმა შექმნა, დანიტერესდნენ მსოფლიო მუსიკათმცოდნე მეცნიერები, რომელთაც შესწავლის სახად გაიზარდა იგი. საქართველო ხალხური საუნდო სიმღერის კლასიკურ ქვეყნად არის მიჩნეული (პროფ. შ. ასლანიშვილი); ხოლო მრავალმხიანობა წარმოადგენს ქართული მუსიკის კუთვნილებას, რასაც თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე სხვადასხვა ფორმა მიუღია (აქად. ივ. ჯავახიშვილი) მუსიკა, სიმღერა, გალობა იმდენად იყო გამჭვდარი ქართველთა უძველესი ტომების ძვალ-ბრძოლი, რომ იგი

მტკიცედ დაუკავშირეს ბავშვის აღზრდასაც, როგორც ერთმანეთი, ისე ორ და სამხმინა.

საბჭოთა პერიოდში ჩვენმა მეცნიერებმა, ფოლკლორისტებმა და მუსიკისმცოდნეებმა ღირს შესაძენველი შრომები მიუძღვნეს ქართულ ხალხურ პოეზიას და ხალხურ მუსიკას. ქართველმა საბჭოთა ხალხმა ნათლად დაინახა ის დიდი კულტურა და საუნჯე, რაც დაუტოვებია ჩვენს წინაპრებს თავიანთ მომდევნო თაობებისათვის. წარმართულდრიონდელი ხალხური სიტყვიერების ლექსებისა და ლოცვების, სიმღერებისა და საგლოზების ნიმუშები ჩვენამდე დიდი რაოდენობით არ მოღწევულა. ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისი განმტკიცებისათვის, უმეტესი ნაწილი გააანადგურა. ჩვენამდე ის მოვიდა, რის ჩაწერა შესძლო ჩვენმა ხალხმა დამწერლობის განვითარების შემდეგ. დადასტურებულია, რომ წარმართობისდრიონდელი ე. წ. პოეზია ხალხურია. ჩვენამდის მოღწეული ლექსები აშკარად ემჩნევა სოციალური ფუნქციები, რომლებიც განსხვავდებიან შემდეგდრიონდელი ხალხური სიტყვიერებისაგან. ჩვენამდის მოღწეული ლექსებიდან ნათლად ვეცნობით ჩვენი წარმართი წინაპრების მსოფლმხედველობას, მათ რწმენას, იდეალებს; ამავე დროს ბევრ წარმართულ ლექსში ბავშვი დგას ყურადღების ცენტრში. ამით არის წარმართობისდრიონდელი ასეთი სახის ხალხური ლექსები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში თან დაკავშირებული, და მის კუთვნილებასაც შეადგენს. ბევრი საბჭოთადი დასტურდება, რომ ლექსი, ლოცვა, სიმღერა, გალობა წარმართული კულტის შემადგენელი ნაწილი იყო და მას ხალხი მისწერ ძალასაც ანიჭებდა. სიმღერას ხალხის რწმენით შეუძლო ავი სოლებს დამწყალობებმა, როგორცაც ავადმყოფთა შეკნინებით ოჯახში. სიმღერა ჰქონდაც ავადმყოფს. უფრო მეტიც, სიმღერას და საერთოდ მუსიკის მავიას, ხალხის რწმენით, შეუძლია უნაყოფო მეცნარეს ნაყოფი გამოაღებინოს.

წარმართობისდრიონდელ დღესასწაულზე შესრულებული საგლოზები და სიმღერა ზოგი თავიდანვე ბავშვებისათვის შექმნილა და მათი დაბადების ან ინფექციური ავადმყოფობის დროს შესრულებულა, ზოგი დროთა განმავლობაში სადილო რეპერტუარიდან საბავშვოში გადაიხალდა და ბავშვების მიერ სრულდებოდა მთელი საუკუნეების მანძილზე. ასეთ ლექსებს საბავშვო რეპერტუარში მტკიცე ადგილი უჭირავს. ძველთაძელი ლექსები: „მზე შინა და მზე გარეთა“, „ნანა“, „იავ-ნანა“ და სხვა, საეკიკალური ბავშვებისათვის შექმნილა. აღნიშნულ ლექსებს ვრცელი ისტორია გააჩნიათ. განსაკუთრებით კი „მზე შინა და მზე გარეთა“. პირველ ყოვლისა, ეს ლექსები ჩვენი კლასიკოსი პოეტების ადამფრენის საგნად გამდარა. ხოლო ჩვენი ძველი თაობის და ასლი ბანის ისტორიკოსებს, ქართული ხალხური სიტყვიერების საბჭოთა მკვლევარებს, განსაკუთრებით ეთნოგრაფებს, მუსიკისმცოდნეებსა და კომპოზიტორებს არაუფ ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ, არამედ თავიანთ ძირითად საკვლევო საკითხდაც გაუხლიათ ქართველი ხალხის უძველესი კულტურის განმკვეთების დროს. მართალია, აღნიშნული დარგის მკვლევრები თავიანთი მიზნისდა მიხედვით ძირითადად სწორ შეფასებას აძლევენ და დიდ ღირებულებასაც ანიჭებენ დასაუბრებულ უკდავ ლექსებს, მაგრამ ამ ლექსების

1 იბ. 3. ინგოროვას გამოკლევა „ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“ მწიგნობი № 2, 1958 წ.

ინტერპრეტაცია იმდენად მრავალმხრივ ხდება შესაძლებელი, რომ გამოუმავლებელი აზრი დოგმად არ უნდა იქცეს.

რას წარმოადგენს ლექსი „მზე შინა და მზე გარეთა“?

ჩვენს ბავშვს პოეტურს, ისტორიულსა და ფოლკლორულ ლიტერატურაში ამ ლექსის შესახებ გამოუმავლებელია კარგველი შეხედულება, რომ მისი შექმნა და შესრულება დაკავშირებულია ბავშვის დაბადებისთანავე სასწრაფოდ მოწვეულ — ძეობად წოდებულ წვეულებებზე. ძეობის შესახებ ცნობა შემოუნახავს თიბერის მერიუსი, ძეობასა და მასთან დაკავშირებულ სიმღერებზე ორი ცნობა იოანე პალსტომელისაჲ აქვს მოტანილი „კალმასობაში“, პოეტ ბლ. ჭაჭავაძეს დაწერილი აქვს ლექსი „ძეობა“, კარგად ხსნის ძეობასა და ლექსის დანიშნულებას ჩვენი ზნე-ჩვეულებათა მცოდნე ალ. ჯავახიშვილი; აკად. ივ. ჯავახიშვილმა დიდი ადგილი დაუთმო ამავს საკითხს თავის მეცნიერულ შრომებში, თავისებურ განმარტებას იძლევა ქართულ საერო და სასულიერო კილოების ისტორიაში შემსწავლელი მოთავეები კარგელაშვილი და სხვ. სხვა.

მხოლოდ პოეტებზე უნდა შევიხილოთ, რომ „მზე შინა და მზე გარეთა“ — ს ლექსის რაობის გარკვევას მუსიკისმცოდნეობაში უფრო შევხედოთ, — და ფოლკლორულ მეცნიერებას კი ჯერჯერობით ეს საკითხი ფართოდ არ გაუმჭვებია. მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის პროფ. გრ. ჩხიკავაძე „მზე შინა და მზე გარეთა“ შესახებ თავის უკანასკნელ შრომაში: „სამუსიკო საკრავი ებნა და მისი რაობა“. მკვლევარი ასახელებს თითქმის 92 სხვადასხვა სახელწოდების ხალხურ სამუსიკო საკრავს, რომლებსაც პრაქტიკულად იყენებდნენ ქართველთა წინაპრები.

პროფ. გრ. ჩხიკავაძე არცკვს ზა სამუსიკო საკრავს ებნას და მის რაობას, ამ საკითხთან დაკავშირებით არჩევს ჩვენთვის საინტერესო „მზე შინა“ — ს-ს და აღნიშნავს: „როგორც ყველაზე ცნობილია, სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“ წმინდა ქართული წარმოშობისაა, უფრო მეტიც, მისი ფესვები ღრმადაა გაძლიერებული საუკუნეებში. ქართველმა ხალხმა ეს სიმღერა ძვირფასი მარკანტივით შემოინახა თავის საკანთურში და დღემდე შეუზღუდავად მოიტანა (ხაზი ჩვენია ა. ლ.). ამ სიმღერას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მღერის ღღესაც და კარგად ასოცირ მისი შინაარსი და დანიშნულება. ამგვარად, ექვს გარეშა ისიც, რომ მისი თანხმდელი სამუსიკო საკრავებიც ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, როგორც დაკავშირებული ქართული სასიმღერო შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშის პანკისა და წყობის თავისებური ბუნებისათვის, მით უმეტეს, რომ ამ სიმღერა ჩვენამდე შეუზღუდავად მოაღწია და შემოინახა თავისი აღორძნელი სახე“ (ხაზი ჩვენია ა. ლ.).

ამგვარად მკვლევარი ასახელებს, რომ „მზე შინა“ ქართული წარმოშობისაა, რომ მისი „ფესვები ღრმადაა გაძლიერებული საუკუნეებში“, რომ მისი სიმღერა ხალხმა „დღემდე შეუზღუდავად მოიტანა“. ყველა ზემოთქმული ცხადყოფს „მზე შინას“ მნიშვნელობის და ღირებულების. მაგრამ მიუხედავად ამისა, „მზე შინას“ გარეშეში საერთოდ არსებული მოსაზრებებით მაინც არ ამოიწურება ლექსის მნიშვნელობა, მისი დღევანდელი წარმოშობის საკითხი, რაც მთავარია, არ არის სფეროებრივ ლექსის გარიანტები, რათა შესაძლებელი გახდეს, ღრმა ანალიზის საფუძველზე, იმის დადგენა, თუ რომელი მთავარია პოეტად იქნა, უფრო უკეთ, პირველთქმელი, შემდგომ რომელმაც გარიანტმა განიცადა ჩამატება, ან სუბიექტური შეკეთება. ამიტომ ლექსი „მზე შინა“ მოითხოვს საექსპლერ გამოკვლევას უფრო ჩვენი ფოლკლორისტიკისაგან, რომელთა ხელშია დაბეჭდილი ტექსტები და დაუმუშავებელი ფონდები.

ლექსი „მზე შინა და მზე გარეთა“ მრავალმხრივ მივყავართ საინტერესოდ. მართალია პროფ. გრ. ჩხიკავაძის მტკიცებით სიმღერა ჩვენმა ხალხმა „დღემდე შეუზღუდავად მოიტანა“, მაგრამ ეს გარკვევით სიმღერის მთავრის,

კილოს უფრო შევხება, ვიდრე ტექსტს. ეს არც შეადგენდა მკვლევარის ამოცანას. ყოლასათვის ცნობილია, რომ ხალხური სიმღერების არც ერთი სახის ჩვენამდის არ მოსულა პირდაპირად სახით. ხალხს თავისი შემოქმედება ზეპირად მოჰქონდა საუკუნეების მანძილზე. მისი თხრობა, დეკლამაცია და იმპროვიზაცია ზეპირად ხდებოდა და შეუძლებელიც კი არის შეუკეთებელი, შეუცვლელი მოსულიყვე ჩვენამდის. საბჭოთა ფოლკლორისტულ მეცნიერებაში უკვე დასაბუთებულია, რომ ხალხური ლექსები, ზღაპრები და სხვა ქარბის ნიმუშები ზეპირად გადაცემის დროს, მით უმეტეს სიმღერის დროს, ისტორიული მოვლენებისა და პირობებისა და მიხედვით ყოველთვის იცვლება, იხვეწება, ემატება, ან აკლდება. ეს დამოკიდებული არის მოქმედზე, მომხრელზე, თვით მმმენელი ხალხის იდეოლოგიურ და ესოტერიკურ შეხედულებებზე. ამ პირობებისა და მიხედვით ხშირად შეცვლილა მოქმედი პირობი და მისი მოქმედებაც. ამას შეუცვლია ლექსი აზრობრივადც და შესცვლია მიზანდასახულობაც. ასე რომ ძნელიც კი არის წარმოვიდგინოთ ხალხური ლექსი, რომელსაც რაიმე ცვლილება არ განეცდის. ასევე შეიძლება ითქვას „მზე შინა და მზე გარეთა“ — ს შესახებ.

ექვემოთხატული უკვე ის, რომ „მზე შინა და მზე გარეთა“ სრულდებოდა ბავშვის დაბადებისას განსაკუთრებით სასწრაფოდ გაართობი წვეულებაზე, ე. ი. ძეობაზე, მელოგიებისათვის მყოფი ქალბინათვის. ისიც დასაბუთებულია, რომ ლექსი წარმართობის დროინდელია. შემქმნელმა ლექსს მისცა გარკვეული აზრი. ის საუკეთესოდ ჩვენს ტაგს მნათობდა. განსაკუთრებით მზის თაყვანისცემას, გარეშე მეცნიერებაში დიდი ხანია გამოარკვეული და დადასტურებულია ისიც, რომ მზეს წარმართობის ხანაში ჩვენი წინაპრები ქალად სახავდნენ. აქ შეგვიძლია ზოგადი არ გაიხიზნოთ. აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მზე რომ ქართველ ხალხს სწორედ ქალად არა მარტაყად ჰყავდა წარმოდგენილი, ამის დამატკიცებელი საბუთების მოყვანა ხალხური ლექსებიდანაც მრავლად შეიძლება. მაგალითად:

«მზე მზე დაბნელებული,
მთვარე ავრდა შუაქრსა.
მთვარე ღე ავრი შუაქრსა,
არაფერ მოგცემს მაგ ქალსა»

„ამ ოთხმუხუდის უკანასკნელი სტრიქონიდან ირკვევა, რომ ცხრე დაბნელებული მზე, რომელსაც მთვარე შუაქრს ავრის, ქალი ყოფილა. ხოლო არც იქვე ნათქვამია, რომ „მთვარე ... არაფერ მოგცემს მაგ ქალსა, ცხრე ხდება, რომ პირიქით მთვარე ამ ოთხმუხუდში გაყად არის დახალისხმული“.

ამას ჩვენც დაუფიქრებთ, განა ცოტაა შემოინახული ქართული ხალხური ლექსი, სადაც მზე როგორც მღერის, მზე როგორც ღღდა, მზე როგორც ქალი ისეა წარმოდგენილი?

«ნათელმა მთვარემა ბრძანა,
ზევით მე ევლიზარ მზესა».

მზემ რომ ის გაიგო, განაწყენდა, გამზარდა და მთვარეს შეუთვალა:

«მე და ვარ და ის მშა არისო» და სხვ.

ამგვარად, მზეს ქართველი ხალხი სახავდა ქალმღერთად, ის თითქმის გადამიანებული ჰყავდა, რომელიც იცნობდა, ლაპარაკობდა და საერთოდ ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, რადგან მზე პერსონიფიციზებული იყო ქალის სახით. მზესთან იყო დაკავშირებული მზის ნაყოფიერება. სწორედ ამიტომაც, მზე არჩიანად დაუკავშირეს ბავშვის დაბადებას, ანალი პატარძლისაგან ბავშვის შექენა ისეთი საგე დიდ სიხარულს იწვევდა ოჯახში და ისეთივე თაყვანისცემას იმსახურებდა ჩველი ბავშვი, როგორც მასი შემენებელში მზე — მფარველი და მოძველი უზენა მოსაუფლო.

აქ იმ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ კაცობ-

რიობამ პირველი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის დროს მატრიარქატის ისტორიული საფეხური გაიარა. მატრიარქატის დროს მამინდელ ფართო მემკვიდრეობით ქალს უპირველესი ადგილი ეკუთვნოდა და მთავარ როლს თამაშობდა.

რა თქმა უნდა ასეთივე მდგომარეობა იყო ძველ საქართველოში, იმ ხანაში ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები მამაკაცები შეთევნებასა და ნაღირობას მისდევდნენ. დედაც კი ტყის ნაყოფსა და სხვადასხვა ბალახებს აკრიფდნენ. სწორედ ამ მეგრეობების ნიადაგზე განვითარდა პირველყოფილი მიწათმოქმედება, რომელიც ძირითადად ქალის საქმიანობას შეადგენდა. ამ გარემოებას ქალი დიდად დაუწინაურა საზოგადოებაში და მას წამყვანი როლი მიაკუთვნა. ქალის კულტი მატრიარქატის ხანაშია შექმნილი, რასაც ამტკიცებს მათი ქანდაკებები, რომლებიც ნაპოვია იბერიის ხაშთებს შორის. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პირველყოფილ თემურ წყობილებაში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონია ქალისა და გავის დაბადებასაც თუ გადაცემასაც ამ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას. ლავინიანო, რომ სხვადასხვა ერში ქალის დაბადებასთან დაკავშირებული სხვა წესი ყოფილა შემოღებული, გავისის სხვა. მაგალითად საბერძნეთში, თუ გავი დაბადებოდა სახლის კარზე ზეითუნის ხის გვირგვინს ჩამოკიდებდნენ, თუ ქალი დაიბადებოდა — ცხვრის მატყლის თავსაკრავს. პირველი თურქი ნიზამად სამოქალაქო ქველობას, მეორე — შრომისმყოფელობას. სანატრესო ის არის, რომ დაძაბული მშობისმყოფარობა ქალის ხედიდან ყოფილა.

ამას გარდა, ისიც ცნობილია, რომ პირველყოფილ ხალხში იურიდიული უფლება, ნამდვილი გავებით, ქალსა ჰქონია, ვიდრე მამაკაცს. ბავშვის დაბადებისას მამა სრულიად არ იხსენიებოდა. შეიღებ ღედის გვარი გადადიოდა და საზოგადოებაც ღედის გვარით სწირბოდა შეიღ. ვისი გვარიც გადადის შეიღზე, ცხადია, მოდგმა მისი გვარით მრავლდება, ხალხის თვალში გვარის მიმცემს ჰქონდა უპირატესობა. გვარები წარმოადგენდნენ მდებრიობით ხაყუ-სახაზე დაქვემდებარე სოციალურ უჯრედს. ქალის ასეთი საზოგადოებრივი და ოჯახური უპირატესი მდგომარეობა ამტკიცებს ღედის — აქედან საერთოდ ქალის დიდ უფლებასა და პატივისცემას, ვიდრე მამის — აქედან კი საერთოდ მამაკაცის. ჩვენი ისტორიკოსების აზრით, გვარის უფლებების ქართული სახელი „სახლი“ ყოფილა. მატრიარქალური გვარის სათავეში მდგომ ქალს კი ქართველთა წინაპრებში „დაისახლისი“ უნდა რქმევოდ. ამგვარად ყოველმხრივ ჩანს ქალის უპირატესობა, როგორც მშობილეთა ღმერთი და შეიღზე გვარის მიცემით, ისე შრომისმყოფარობის მიუთვლებით. აქედან ნათელი უნდა იყოს რაოდენ დიდი უპირატესობა ექნებოდა ქალის დაბადებას გავის დაბადებასთან შედარებით. საქართველოში უსუსოვარი დროიდან მოკიდებული საშუალო საუკუნეებამდის არ შენდებულა ქალის დიდი უფლებები და უპირატესობა. ქართველი ტომები მაყობდნენ კიდევაც ქალის ასეთი მდგომარეობით. სწორედ ამის ნათქვამია ღედების უცვლელად მოსული კომპონენტები: ღედ-მამა, ღედ-მამა, ღედ-მამა, ღედ-მამა, ქალ-გავი, ღედ-ქალ-გავი და მრავალი სხვა. აქ პირველი სიტყვა ღედია, ე. ი. ქალია.

ისე, როგორც პირველყოფილ სხვა ხალხებს, ჩვენს წინაპრებსაც, ბავშვის დაბადების აღსანიშნავად გარკვეული წესი შეუქმნდებოდათ და ამ წესში ქალის დაბადებას, უდავოდ დიდი უპირატესობა ეძლეოდა.

ჩვენი ღმერთრწმენით „მზე შინა და მზე გარეთა“ პირველად სწორედ ქალის დაბადებასთან დაკავშირებით შექმნა ქართველთა ხალხში მის მფლობელასთან ერთად. უფელღეს და თაქდაპირველად მრავალი წესი გამოიქმნა მატრიარქატის პერიოდში. ქალი იყო მმართველიც და გამომკონებელიც. ადვილი შესაძლებელია „მზე შინა და მზე გარეთა“ ქალის მიერაც იყოს შექმნილი, რადგან ის იყო ოჯახის გუშაგიც და ოჯახის პატრონიც. ჩვენი წინაპრები-

სათვის მზე იყო მიწის გამანაყოფირებელი, ე. ი. მზის მისაღლის მომყვანი: ქალიც გამანაყოფირებელია. ე. ი. ადამიანის წარმოშობით, გვარის, მოდგმის გამგრძელებელი. ამასთან ერთად გავისსავეთ ღეთაგმა ქალ-მარბარე-ქასადმი თავგანსცემა, იგი ხომ მზის ქალ-ღეთაგმა უდრის, იგი არის ქალ-ღმერთი-გამანაყოფირებელი — მზარეული ქალისათვის. ამასვე ხომ არ გულისხმობდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, როცა წერდა: „მზის ღეთების შესახებ წარმართული ხალხის წარმოდგენის ანარქიული სხვაობა შორის ძეობის ნათესავების მზე შინა-მზე არის დასუღელ-გავის ძამა შინ არ არის, მზეც, მზე შემოდინა“. თუ მზის მშობლობა (ხაზი ჩვენია, ე. ი. ქალის მშობლობაა? ა. ლ.) შესვლისათვის ამ საგალობლის შემთხვევლ ხალხს საჭიროდ მიუჩნევია მზისთვის მოესენება, რომ იმ დროს გავის ძამა შინ არ იყო, აქედან საფიქრებელია, რომ ხალხის რწმენით მზე იმ შემთხვევაში თუ გავის ძამა შინ იქნებოდა, ახლამდელდგინებულ ღედის სადგომში არ შევიდოდა. მაშასადამე, ხალხს მზე მხოლოდ და მხოლოდ ქალურ ღეთებად ჰყავდა ნაგულისხმევი და წარმოდგენილი.

